

ცხიმი ინფექციისგან გვიცავს?



აშშ-ს ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტების კვლევითმა ჯგუფმა იასმინ ბერკაიდის მეთაურობით უნიკალური იმუნური უჯრედები აღმოაჩინა. ცხიმოვანი ქსოვიდში არსებული ე.წ. მეხსიერების T-უჯრედები ინფექციასთან

ბრძოლის უნარს ფლობენ.

კერძოდ, პათოგენური ინფექციის შემოტევის შემდეგ უჯრედები უფრო ძლიერი დარტყმისთვის ემზადებიან, რაც თავის მხრივ, ორგანიზმს მორიგი დაავადებისაგან იცავს. მკვლევარებმა ცდები თავგებზე ჩაატარეს – პარაზიტები ან ბაქტერიები ხედოვნურად შეყავდათ მათ ორგანიზმში, რის შემდეგ ცხიმოვანი მასაში T-უჯრედების დიდი ჯგუფები ყარბდებოდა, რომლებიც უფრო ეფექტურად ებრძოდნენ ინფექციას, ვიდრე სხვა უჯრედები; ინფექციასთან საბრძოლვედად ქიმიურ ნივთიერებას უკეთ გამოყოფდნენ. ხლო ხედმეორედ დაავადებული თაქვების ორგანიზმში T-უჯრედები კვრავ უფრო სწრაფ რეაგირებას ავრდნენ.

T-უჯრედების შემცვერი ცხიმი ჯანმრთედ თავგებს გადაუნერგეს და ისეთი ინფექცია შეიყვანეს, რომერიც აქამდე არ ჰქონიათ. შედეგი გასაოგნებერი იყო: T-უჯრედების მეხსიერბამ მყისვე ირინა თავი და „ნაცნობ“ ინფექციას წინააღმდეგობა გაუნია.

პროექტის ხედმდვანერი იასმინ ბერკაიდი მიირნევს, რომ ცხიმოვანი ქსოვირი ჯადოსნურ ვრექსირს ჰგავს, რომერსაც T-უჯრედების აქტივაცია შუდრია, ხლო ამ უჯრედების განსაკუთრებული ძარა იმაში მდგომარეობს, რომ ენერგეტიკურად მდილარი ცხიმოვანი ქსოვირით „იკვებებიან“.

კორუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარი ენტონი ფერანტე ამტკიცებს, რომ აღნიშნული ცდის შედეგებმა ჩვენი წარმოდგენა ცხიმოვან მასაზე უნდა შეცვალონ. „სახერმძღვანელოებში ჩამოთვრილია სხვადასხვა იმუნური ორგანო, მათ შორის დიმიფური კვანძები. მაგრამ ახალი კვლევა სავსებით ცვლის ამ წარმოდგენას, რადგან ამიერიდან ცხიმიც უნდა ვაღიაროთ იმუნურ ორგანოდ,“ – მიაჩნია ენტონი ფერანტეს.

თუმცა ყველა ცხიმი სასარგებლო როდია. ჭარბი წონა ადმიანის ორგანიზმში ცხიმოვანი ქსოვირისა და იმუნური უჯრედებს შორის ბადანს არღვევს, რასაც გარკვეული უარყოფითი შედეგი მოყვება. თუმცა, როგორც იასმინ ბედვაიდი ამტკიცებს, ორგანიზმში ცხიმის გარკვეული რაოდენობა აუცილებლად უნდა არსებობდეს.

Immunity